საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-776

13/08/2019

ქ. თბილისი

მესტიის მუნიციპალიტეტში, შპს „კავკასენერგოს“ მიერ ჰიდროელექტროსადგური „ნენსკრას“ სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად (ეგხ-ს და ქვესადგურის რეკონსტრუქცია-ექსპლუატაცია, ეგხ-ების და ქვესადგურების მშენებლობა-ექსპლუატაცია), დროებითი ელექტროენერგიით მომარაგებისთვის საჭირო ტექნიკური ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 28-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს მესტიის მუნიციპალიტეტში, შპს „კავკასენერგოს“ მიერ ჰიდროელექტროსადგური „ნენსკრას“ სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად (ეგხ-ს და ქვესადგურის რეკონსტრუქცია-ექსპლუატაცია, ეგხ-ების და ქვესადგურების მშენებლობა-ექსპლუატაცია), დროებითი ელექტროენერგიით მომარაგებისთვის საჭირო ტექნიკური ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N74 (22.07.2019წ.);
2. შპს „კავკასენერგო“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N74 (22.07.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „კავკასენერგოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კავკასენერგოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მესტიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი